

## პრესრელიზი

„რაჭაჰესზე“ სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა



მორიგი მასშტაბური სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგად „რაჭაჰესი“ სრული დატვირთვით მუშაობს. „საქართველოს საერთაშორისო ენერჯეტიკული კორპორაციის“ კუთვნილ „რაჭაჰესზე“ განხორციელებული სამუშაოების შედეგად, შესაძლებელი გახდა მთლიანად შეცვლილიყო სადაწნეო მილის დაზიანებული მონაკვეთი.

გატარებული ღონისძიებებისა და ჩატარებული სამუშაოების შედეგად ჰესი შეუფერხებლად შეძლებს საქართველოს ენერჯეტიკული სისტემის გამომუშავებული ელექტროენერჯით მომარაგებას.

„რაჭაჰესი“ ამბროლაურის რაიონში, ზღვის დონიდან 940 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. აღნიშნული ჰიდროელექტროსადგური ექსპლუატაციაში 2013 წლის ივლისში შევიდა „რაჭაჰესი“ „საქართველოს საერთაშორისო ენერჯეტიკული კორპორაციის“ კუთვნილებას წარმოადგენს.

„საქართველოს საერთაშორისო ენერჯეტიკული კორპორაცია“ (სსეკ) 2005 წლის ივლისში დაფუძნდა. ამჟამად „ჯი-აი-ჯი“ კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია. სსეკ-ის მთავარი სტრატეგიული ბიზნეს ერთეული მოიცავს ელექტროენერჯის გამომუშავებას და ბუნებრივი აირის რეალიზაციას. დღეისათვის სსეკ ამუშავებს 8 მცირე ჰიდროელექტროსადგურს საქართველოში და სტრატეგიული მნიშვნელობის თბოელექტროსადგურს, რომელიც მდებარეობს გარდაბნის რაიონში და უზრუნველყოფს საქართველოს მნიშვნელოვან ენერგორეზერვს. „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ დამფუძნებელია დავით ბეჟუაშვილი